


მეფობა



საქმინიერო და სალიბერატურო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 10.

მაგრი 7. 1893 წ.

№ 10.

შინადასი — რა ეჭირება სოფელს, წერილი მესამე ვას. მ—ლისა.—ხალხური, ლექსი აკაკისა.—ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი.—წერილი ამბები.—მოსწრებული სიტყვა.—კორნელია გრაკუბის დედა გ—ლისა.—ბაირონიდან, ლექსი ი. ბაქრაძისა.—ჭინდან, ლექსი მისივე.—ლუი პასტერი, X—ლისა.—სწავლის საქმე ჩვენში.—„კვალის“ ფოსტა.

რა პირობება სოფელს

(წერილი მესამე)

ინა წერილში *) მკითხველს მოველაპარაკე იმ უსიამოვნო და გამალარიბებელ შედეგზედ, რომელიც მამულის გაუმჯობესებას და მის გამოურკვევლობას მოსდევს ჩვენში და თუ როგორ საჭიროა ეს საგანი, რაც შეიძლება მალე, გამოირკვეს. გარდა იმ მიზეზებისა, რომელნიც წინაღ ჩამოშვალედ, ერთი სხვა დიდი მიზეზიც გვაიძულებს ამ საქმის დაშურებას:

როგორც მკითხველმა იცის, ახლა ჩვენს მამულებს სახელმწიფო გადასახადი დედეა და დღეს თუ ხვალ, გეინდა თუ არა, ამ ხარჯს გადაგვანდევინებენ. აბა, როგორ უნდა ვაღიხადოს ეს ხარჯი იმ შემთხვევებში, რომელსაც მამულის გაუმჯობესების მიზეზის

გაზო ან სულ არა შემოსდის-რა, ან შემოსდის იმოდენა, რომ სახელმწიფო ხარჯსაც ძლივს აუევა. რასაკვირველია ზოგი ერთს ჩემს მკითხველს, რომელიც სოფელს ღმის ცხოვრებას დაშორებულია, სახეზედ ეჭვის ღიმილი მოუევა და იტყვის: ნუ თუ მამულიდან იმოდენა არ შემოევა, რომ პატრონს სახელმწიფო ხარჯის მიცემა არ გაუჭირდესო? დიად, ვეტყვი, გაბედვით, არ შემოუევა. არ შემოუევა იმისგამო, რომ საერთო მამულიდან მხოლოდ ისა სარგებლობს, ვინც მამულშივე ტრიალებს და მუშტზედ უჭირავს თვალი. ვინც ცოტადანად ხათიანიიაქა მამულს დაშორებულია, იმას სრულებით არა ერგება-რა, ნამეტნავად თუ ქერიეობოლიც არის. ვინც სარგებლობს, ისიც კი ნამდვილ შემოსავლის მაგიერად, მეთოდს სჯერდება, რადგან აშურებს, რაც შეიძლება მალე მოპკრიფოს საერთო მამულში ის, რაც მას არ ეკუთვნის და ამით ყოველივე უწესობება, ყოველ-გვარი განხრწნილება ფსებს იდგამს ჩვენს ქვეყანაში.

*) იხ. „კვალის“ № 8

რასაკერეცლია, უფრო სამართლიანი იქნებოდა, ვიდრე ეს მამულის გადასახადი შემოვიდოდა, ყველა მამული განსაზღვრულიყო და პატრონს ჩაბარებოდა; მაშინ ყოველი მემამულე თავის მამულის შემოსავლიდან ერთ იმის ნაწილს სახელმწიფო ხარჯში ადგილად მისცემდა. მართლაც, რადგანაც ამ გვარი წეს-წყობილება მთავრობის წყალობით ჩვენში ჩამოვირდებოდა, მაშინ ყოველი მებატონე მოვალე იყო, ამ წეს-წყობილებისათვის ხარჯიც გადაესაღწა. ეს არის იმის მიზეზი, რომ გუბერნიის თავდაზნაურობის კრებაში ორჯელ ერთხმად გადასწყდა ის აზრი, რომ უმადლეს მთავრობის წინაშე იზუამდგომლიონ, გადაიღოს ამ მამულზედ გადასახადის აღება იმ დრომდე, ვიდრე ჩვენში მამულების საქმე გამოირკვევა და თავთავის პატრონს ჩაბარდება და მერმე მათი ნება ასრულდეს; მაკრამ სამწუხაროდ, დღემდის ეს გადაწყვეტილება თავდაზნაურობის კრებისა შეუსრულებელია.

აი, ამისათვის ყოველი ჩვენგანი უნდა ეცადოს, რომ თუ გამოიჯნით არა, მედიატორების შემწეობით, რომელზედაც წინა წერილში მქონდა ლაპარაკი, მაინც გაიჩრეს და გაიყოს მამულები. ამ გზით, იმის მეთაურობით არ დაუფლება ჩვენს თავდაზნაურობას, რაც ახლა ეხარება.

მეორე გარემოება, რომელიც ძალიან აფერხებს ჩვენს მეურნეობას სოფელში არის ნაკუწ-ნაკუწად დაყოფა მამულები. ძალიან იშვიათად შეხედებით ისეთ მემამულეს, რომელსაც ერთიანი მამული ჰქონდეს. ამას დიდი ვანმარტება და ლაპარაკი არ უნდა, რომ ამ გვარ მამულებში ძალიან ძნელია კაცმა რაიმე ვაკეთოს. ხშირად ეს არის მიზეზი, რომ ბევრს ყმაწვილს კაცს, რომელსაც სურს თავის მამულში რაიმე მოიმოქმედოს, გული უხდება და სამუდამოდ ესაღმება მეურნეობას.

რომელ მემამულესაც კი ერთიანი მამული აქვს, ის თითქმის ყოველთვის უფლოდ ცხოვრებს და უფრო მიდრეკილია იმ მებატონეზედ, რომელსაც თუმცა მეტი მამული აქვს, მაგრამ დაქუშული, დაქუშ-მაკუშული.

რასაკერეცლია, ამ სენსაც შეიძლება მაღალი დასდებოდა. ამისათვის უნდა კლიოიყვენ, ერთი ერთმანეთში მოეკლათ მამულები, პატარა ნაკუწების მავიერად დიდ ნაკუბად გადაქციათ, რომ ამით მეურნეობას ასპარეზი გასჩნოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, გულწრფელად უნდა აღვიარო, რომ ამ გრძნობას ჩვენში მოკლებულნი არიან: მეზობელი მეზობელს ძნელად მოუცელის მამულსა. მე გამომიტია, რომ ხშირად ერთი სავად, ერთი ოთხად უძლევიით მამული იმ მაინც არ გამოუტყლიათ. ფულზედაც სხვას უფრო იაფად მისცემს და რაკი შენ მეზო-

ბელი ხარ, ერთი ორად და ერთი სამად დაგიწყებს თხოვნას და ძალიან ძნელად მოგიბრებება. აი, ჩემის აზრით, ეს გრძნობა სიშურისა არის ერთი უმთავრესი სიღარიბის მიზეზი ჩვენში და ამ სენს უნდა ჩვენმა ნასწავლმა ყმაწვილ-კაცობამ წამალი რაიმე დასდოს.

მესამე გარემოება, ურომლისოდაც მეურნეობა ევრსად ფესვს ევრ გაიდგამს, ევრ მოიკიდებს, არის უტოდინარობა მუწის ნიდავის ხასიათისა, იმის ვამო-უკლევლობა, უტოდინარობა ჰაერის, ანუ ჰაერის გაუღუნისა სხვა-და-სხვა ნაყოფზედ. არაიენ არ იცის, რომელი კუთხე რომელი ნაყოფისათვის არის ბუნებისგან დანიშნული, ანუ უკეთა ვთქვათ, სად რა უფრო კარგად მოვა, სად რა უფრო გაშენდება. არა გვეყვანან სწავლულნი, მეცნიერნი და მეკოდნე პირები, რომელთაც ყველა ესენი გამოიკლიონ, შეისწავლონ და აუხსნან ხალხს წერილით. ანუ სიტყვიერად, რომ ამ გზით სხვა-და-სხვა მეურნეობა წინ წაწიონ და ჩვენი ქონებრივი მდგომარეობა ვაუმჯობესონ. უამისოდ კუს ნაბიჯით ფოფხვა შორს ევრ წავიყვანს. ამ რამდენისამე წლის წინად ერთის მახრის თავდაზნაურობის კრებაში იყო აძირული ფრიად საყურადღებო და სასარგებლო აზრი, რომელიც ერთ ხმად მიიღო კრებამ, მაგრამ აქამომდე, არ ვიცი, რა მიზეზის გამო, შესრულებულია. იქ წარმოითქვა; კარგი იქნებოდა წელიწადში ერთხელ, ანუ ორჯელ თავისუფალ დროს, შეყრილიყვენ მახრის თავდაზნაურობის წინამძღოლის თავმჯდომარეობით ყველა მემამულენი, რომელნიც კი ისურვებდენ ერთი ერთმანეთისათვის განეზიარებით, რასაც თუკიანთ მამულში შესანიშნავს ნახავდენ და მოილაპარაკებდენ ერთმანეთში ყოველსავე გარემოებაზედ, რომელსაც მამულის მიკლის დროს შეხედებინან; მოილაპარაკებდენ აგრეთვე მათთვის საჭირო ღონისძიებაზედ და ამით დავებარებოდენ თავიანთი საერთო საქმეს, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც წინად მოვახსენეთ ეს მეტის-მეტად კიოილი, სასარგებლო და ადვილად ასასრულებელი გადაწყვეტილება დღემდის შესრულებულია.

სწორედ სამწუხაროა, რომ ამ გვარ მარტივ აზრებს, რომელთაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენს საზოგადო საქმეებში, ასე გულგრილად და უყურადღებოდ ეციდებიან. ესეც იმით აიხსნება, რომ სოფელში, ჩვენდა საუბედუროდ, არა გვეყვანან განათლებულნი და ნასწავლნი პირნი, რომელთაც შეეძლოთ საზოგადოებას წინამძღოლობა გაუწიონ.

ხ ა ლ ხ უ რ ი



ღვის-ზე აყვებულა,
აშვენებს არე მარსა;
გარს იხვევს ქვეწის შვენება,
თას ივლებს მზე და მთიარესა.

„ეს შენბარ აკოკრებულ
მზეთუნახაო, თინაო!
მშენიერებამ შვეამკო,
კით მადლი ვაღმოფინაო!“

ზედ უყვადების წყალი სღვას,
ფიალი თვალის მომჭრელი...
გოძნობა-გოძნობას იტაცებს,
არ ეკიდება კი ხელი!

„ეჲ ქალო, შენი გულია,
შიგ გოძნობა ნავუბარიო;
არ ეკარება ჯერ ტრფობა!..
შოარს არის მეგობარიო!“

აღვის ხეს მგზავრი წაატყდა,
მგოსანი აღვლევებული;
თავი შესწირა სამსხვერპლოდ,
საკერთხად დაუღდა გული.

და იწყო ლოცვა-კურთხევა,
ჩანგზე დაქდერა... დაჰკენესა;
ცეტლს ანთებს... კაჟი მონახა,
ნაპერწყლებსა ჰყრის... დაჰკენესა.

„მეცე ხომ შენი ბედია,
ზეარაჲი შენი გულისო;
მგოსანი ტრფიალებისა,
დამეკესი სიყვარულისო.“

აღვის ხეს ალი მოედვა.
მაგრამ ხე ჰყევა, არ ხმება!..
რა უცნაური ცეტლია,
რომ ნამდვილს არ ეთანხმება!..

„ეჲ ალი ტრფობის ალია,
ტკბილად... უცეტლოდ მწველიო.
სულით ჩანს, გულით იცნობა,
არ ეკიდება ხელიო!“

აღვის-ზე აყვებულა,
აშვენებს არე-მარესა!..
შეყვარებული თინათინ
ამეტებს მზე და მთიარესა.

აკაჲი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი

ზაქარია ორბელიანთან



საყვარ ლცო ძმაო ზაქარიავ! მომილოცავს
პოლკოენიკობა შენი წიგნი რომ მომივიდა,
იმის მეორე დღეს ინვალიდებში ეწერა. — მე
აქლა ჩქარა ლენარლობის იმედითა მაქვს
მეგრამ ამისთვის უთუოდ უნდა დაღეტანში
იმსახურო, თუნდ მაგ ადგილშიაც არა; და მეორე,
იცი რა ვიფიქრე შენთვის, კასპის ობლასტის ნა-
ჩალნიკობა. ეინ იცის! მე კი კარგად მაქვს დაცილი
წინასწარ თქმა. — Это будет гораздо суще-
ственнее. *)

კატოს ერთი თთვეც არის ჯვარი დაწერეთ. —
კარგი ქორწილი გადაიხადეთ, მეორე დღესვე წაი-
ყვანეს კატო. ერთი ღამე და მეორე დღეს სადილათ
ქიხოსრო მუხრანსკისას ეიყვით. კარგად დაგებდა.
იქიდან ახალგაზრს წავედით. — ოძის რომ მივხლო-
ვდით, სადაც ჰიძინა ერისთავი დგას, ლევან ერის-
თავი თავადებით, აზნაურებით და იმერეთის მგალო-
ბლებით მოგვეგება; ჩვენთან იყენენ მანანა თავის ქა-
ლით, მაიკო, ყაფლან, მიხაკო, ალექსანდრე სუმბა-
თოვი — მე და ეარო (თუ ვასე). — რა დაბინდდა —
შევედით ახალგაზრს. — სასახლე ჰქაქებით იყო გაჩა-
ხახებული, მიედანი მაშხალებით; ამ დროს ახალი
არქიერი, წულუკიძე, კატოს დედამთილის ძმა, აქ
იყო და მგალობლები იმისნი იყენენ. დეკანოზი შე-
მოსილი და ჯვართ მოგვეგება ვალანინ(ს) კარენ-
ში; დაჰკრეს ზურნას, სარათას (სათარას) სიმღერა
(თანა გყვანდა), თოფის სროლა და ხალხის ქვედა და
ყერილი საუცხოვო სანახავს წარმოადგენდა; ამას-
თან მთვარიანი ღამე და მშვენიერი მდებარეობა. —
სასახლეში რომ შევედით და ყაფლან(მ) ქული მო-
ინებ(ა)და და შეხება ზალას, გერთი გულით წამოიძი-
ხა: это дворец! ბევრი ვერცინია.

რასაკვირველია, მეორე დღეს პატარძლის ჩვეუ-
ლებისამებრ, კატო ქვეშავებში იწვა. — მესამე დღეს
ადგა. მზითვეი გასინჯეს. მაგრამ, ზაქარიავ, მთელს
ქართლში ვაითქვა; თუარემ მანანა გეტყვის, როცა
ნახავ. — მეოთხე დღეს ნიშნები მიაართეს დედამთილ-
მა, მაზლებმა, მულეზმა და რძალმა, კარგი ნიშნებიც
იყო. — არქიერი ეზოში იდგა კარავში ქანდრებს ქვეშ.
იმ დღეს ამომძანდა კატოს სანახავად, დალოცა და
ერთი ოქროთ მოჰქედლი ღვთის-მშობლის ხატე ანუ-
ქა. ხუთი დღე და ღამე სულ შექცევაში ეიყვით. —
მამუკაც იქ იყო და ძალიანაც გაზიარულდა. — მერ-

*) ეს უფრო არსებადი იქნება.

მე მე და მამუკა გორს ვადავედით, იქ დაგვხედენ ელენე, მანანა, რომელიც ორის ღღის წინათ ჩვენზედ წვიდა, მელანია და ბეგრინი სხვანი; ნათლობა ჰქონდათ ელიზბარის სახელებში ესტატე ერისთავის შვილსა.— იქიდან ატენში ვადავედით.—*ქნაიხი* *) ძალიან კარგად დაგვიხედა; სულ შუშურები გვაესვა.— ერთის ლექსით კარგად გავატარეთ დროება, მთელი ორი კვირა.

მე და მამა აღვივობას, რომ ამ თთვის თხოთ-მეტს იყო, ეწვევიენით კატოს, მანანა და ელენე გარდმოვიდენ სალოცავად. საუტხოვო ჯარობა იყო. ახალგორიდან თორმეტი ვერსტია, მაღალს მთაზედ.— ქალები ცხენებით, საწვიბრებით, ქოლგებით, ღიდის ამალით: ოსურის სიმღერით ავედით სალოცავად. ის ღამე და მერჯე დღეც იყო მშვენიერი.— ძალიან მზიარულება იყო. კატა წამოსვლის დროს მანანა აუად გახდა და იმან დაგვიშალა მზიარულება.— ზაქარიე, სწორეს გულით გეტყვი, რომ კატა თავის მოსაწონს, ცხლანდელს დროში სანატრელს ოჯახშია.— ძმების უმავალითო თანხმობა, სიმდიდრე სახლისა და უვალობა.— ამასთან რევაზზედ აკედება, ლევანისა ხომ სულთა კატა და დავით ხომ იმის ნებეირობაშია.— მე ეს მამა, რომ მტერი ვერ გაიხარებ(ბ)ს.— თუ ღმერთი გვადირსებს ერთად შეყრას, შენ, გრიგოლ, ილია, გიორგი, მამუკა, უნდა ეწვევიენით ამ შემოდგომაზედ, რომ ღაზათი გავწიოთ. მართალია სანადირო არ არის, ყოვლის გვარისა.

ბეგრი ეციენთ გრიგოლის წიგნზედ; მანანას წაუკითხე.— ილიას წიგნი მოვიდა. ჩერლონში არიან სულ ყველანი და ამ თთვის გასვლამდინ მგონია მოვიდენ.— მთავარ, მმართველსაც ამ სამ დღეზედ მოვივლიან. ლუ(რ)საბის კოლი ანა ძალიან აუად არის, საწყალი! სხვა ამბავი აქ ახალი და საშენო არა არის.—

მშვიდობით. ღმერთსა ეთხოვ შენს კვალად და კვალად ბედნიერებას.

შენი მარადის ერთგული თ. ნ. ბართოვი.

P. S. ზაქარიე! ამ შენ გამოგზავნილ თოფს თავის შესაფერი ერთი წყვილი დამბაჩა უნდა, თვარემ ობოლსავით დაჩინილია და ამისთვის კაბინეტში ვერ ვაგვიმართავს.

დავაიწყებდა. ივან კარლიჩი,**) გარდაიცვალა. სალომე კარგი ქვრივი დარჩა.— სულ თავის საცხო-

*) სენატორს გიორგი ერისთავს ქართლში გიორგი კნაზს ანუ უფრო შემოკლებით „ქნაიხს“ უწოდებდენ. მის ასული ქეთევან მამუკა ორბელიანის მეუღლე.

**) ავგისტოს თხოთმეტს არის.

**) ეჭმი დეპუტატი; სალომე მისი მეუღლე, თარხნიანთ ქალი, ომან მდივნის ზურბულაძის ქალის წული.

ვრებელი ამას უნადგრძა **ЗАКОННЫМЪ АКТОМЪ**.— თუ გიორგი ნახო, ჩემ მაგიერად დიდი მოკითხვა.

(მე 3-მე გვერდზე ჩამატებულია) იაკინტემ, ამ წიგნის წერაში, ასე მითხრა ჩემ მაგიერ მოკითხვა მისწერე და ასე შეუთვალე, რომ ცალკე წიგნისათვის არა მკალან, ბეგრი საქმეები მაქვსო. აქ არის სასამართლოში სოვეტნიკის თანამდებობაში დროებით დანიშნული.

(პირველ გვერდზე ჩამატებულია) მეც მომილოცავს პოლკოვნიკობა! შენი ელის. (ვერ გაიჩნევა).

წერილი ამბებში

ესაც მშვენით მოსილის გომბორის მითით, ან ნუკრიანის მადლობიდან ალაზნის ეელისკენ არ გადალუხენდა, ესაც არ უფლია სამოც-ოთხმოც ვერსობით ერთიერთმანეთზედ გაბმულ კახეთის ევნახებს შუა გაყვანილი შარაუზით, ესაც ერთი სიტყვით კახეთი არ უნახავს, ის უნდა იცეხებებს ჩვენი ქვეყანა დამივიდა და ყოველივე მისი მშვენიერება განშიცდილა. ტყუილად კი არ ამბობს პოეტო:

„ვისიც ამ ქვეყნის შვევისათვის აღარ სტგერს გული... მან მომცეს ხელი, მას ავიყვან მთასა მაღალსა; იქ იმის გული სილცხლისთვის კვლავ გაიღვიძებს, ლთიური სიხარული განაცხოველებს მის თვალს დამაშვარალს, სოფლის ცეხარულს, სოფლის ტანჯვას ის კვალად იგრძნობს, კვლავ მოიგონებს ჩვენს მზიარულს ლხინს და სიმღერას... გული ძლიერად, სიხარულთ დაუწყებს ძვრას.“

ეს ფიქრები უნებურად მოუეა ყველას თავში, ვინცკი ჩაუკვირდება კახეთის ვითარებას და ამ ბოლოს დროს კახეთის საეკილოდ განზრახულს საქმეს იქითკენ რკინის გზის გაყვანისას. ამისათვის ჩვენი ხალხი დიდ გულ-მოდგინებით ადვენენთ თვალ-ყურის კახეთის გზას და ამიტომაც საქორად ერახებთ მკითხველებს შევეატომინათ საქმის ვთარებას და ისიც, თუ რა მოხდა მას აქეთ, რაც თავად-აზნაურობამ გზის გამო-საკვლევად ფული გადასდო.

ბედი ამ რკინის გზისა, იმის გამოკვლევა, საქორა ფულის შონვა და მთავრობასთან შუამდგომლობა, რომ ამ გზის გაყენა თავად-აზნაურობამ იკისროს, მინდობილი აქვს თხოთმეტ კაცს, კომისიად აშორჩეულს, გუბერნიის მარზლის ლუარს. მაღალაშვილის თამეჯდომარეობით. კომისია რამდენჯერმე შეიკრიბა და ჯერჯერობით შემდეგს გზას დაადგა: უნდა ეცუდოთო ყოველის ღონისძიებით, რომ გზის გამოკვლევა მთავრობამ იკისროს შემდეგი პირობებით:

ა) თავიდანაწარმოების ხარჯით მომხდარი გამოკლევა რკინის გზის აგენტებისაგან, ოფიციალურად იქმნას ცნობილი.

ბ) ვადა გამოკლევის გათავებისა და საქირო პლანებისა, პროექტების და მოხსენების დამზადებისა ამ საგანზედ—სამი თვე იყოს.

გ) გადაწყვეტილი იქნება, თუ რა დაჯდება სრული ეს გამოკლევა.

დ) უმთავრესი ინჟინრის და უმთავრესი ტექნიკების დანიშვნა კომისიის თანხმობით უნდა მოხდეს.

ე) ინსტრუქცია გამომკლველთათვის კომისიასთან ერთად უნდა შემუშავდეს.

ვ) გადაწყვეტ, თუ როდის დაიწყება გამოკლევა. მთავრობა თითქმის დათმობდა კიდევ ამ პირობაზედ და ეხლა ლაპარაკი იმაზედ არის, გამოკლევისათვის საქირო ინჟინერები იზოგონ და სამი თვის განმავლობაში მარტო ამ გზას მიუჩინონ. საქმე ახლა იმაზედღა არის შემდგარი, რე თუ მთავრობა ინჟინრებს განათავისუფლებს, გამოკლევის საქმე თავის ვადაზედ გათავებულად უნდა ჩითვალდეს. ვადაზედ გათავება კიდევ იმითაა არის საქირო, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით ყველა პროექტები ამ გზისა და ისიც, თუ რა ფულით აპირებს თავად აზნაურობა გზის გაყენას, ამ წლის ბოლომდე უნდა აწარუდგინოს და ფულზედ მოლაპარაკება კიდევ ფულის პატრონებთან შეუძლებელია, თუ გამოკლევა გათავებული არ იქნება და არ გადაწყდება, რამდენი ფული დასჭირდება მთელ ამ გზის გაყენას.

კომისიას ამას გარდა მიწერა-მოწერა აქვს კერძო ცნობილი ინჟინერებთან და თუ მთავრობა რაიმე მიზეზით ვერ იკისრებს გამოკლევას, უკანასკნელნი კისრულობენ მთელს ამ საქმეს 12000 მანათად, ასე რომ გადადებულ ფულიდან 3000 მანათი კიდევ დარჩება კომისიის ზედამხედველობისა და სხვა მოულოდნელი ხარჯისათვის. კომისიაში მონაწილენი არიან სამნი ინჟინერნი თავად-აზნაურთაგანი, რომელთაც, რასაკვირველია, უმთავრესი ზედამხედველობა ექნებათ ჩაბარებული გზის გამოკლევის დროს, რომ გზამ სასურველი მიმართულება მიიღოს და გამოკლევიან ნამდვილად აჩვენოს ის ხარჯი, რაც ბოლოს დროს გზის გაყენას დასჭირდება.

კომისიის გადაწყვეტილებისამებრ ბანკიდან გადადებული ფული ხელშეწყობილად უნდა იყოს ბანკში და დაინახარჯოს მხოლოდ მაშინ, როცა კომისია ამ საგანზედ გადაწყვეტილებას დაადგენს.

ამას წინააღმდეგ ტყუილის საბჭომ გადაწყვიტა შეიდი ქალაქის ექიმის იყალიოს, რომელთაც მთელი ქალაქი დაუნაწილოს და მოვალე გახადოს თავთავის ნაწილს უპატრონონ და ღარიბებს მეუთად უწამლონ. თითო ექიმს დაენიშნა ჯამაგირად წელიწადში 1200 მანეთი. ამ გარდაწყვეტილების ძალით გამეგობამ ქალაქისამ მიიწვია მსურველნი და ცხრამეტმა პირმა არხა მისცა და სურვილი გამოაცხადა ქალაქის ექიმად ყოფნისა. ცხრამეტს რუსენი ცრიენც, ქართველნიც, სომეხნიც. ქალაქის გამეგობამ და სამკურნალო კომისიამ ამ დღებში გასინჯა ეს თხოვნები და ცხრამეტში შეიდნი აშორჩია, შეიდნიე სომეხნი, აი გვარები ამ ექიმებისა: არწურსნი, გონიევი. სტეფანაივი, ტრასატურაივი, ყალანთარაივი, თარხანიანი და ყასუშოვი. ოთხშაბათს, მარტის საშს, გამეგობას სხდომა ჰქონდა და ამ შეიდ ექიმს დაუნაწილა მთელი ქალაქი მოსავლელად....

ივერის* ამ წლის 40 №-ში ეყითხულობთ ჩვენის ტფილისის საბჭოს შესახებ

....ყველაზე ხანგრძლივი და ამის გამო ნაყოფიერი მოურავობა ჰქვდა ა. ს. მარინოვს, რომელსაც გვერ-

ისი შესახებ, თუ რა მიმართულება უნდა მიეცეს კახეთის რკინის გზას. იმისაზრით პირველი სტანცია უნდა იყოს აელაბარი, უკანასკნელი კურდღელაური, რომელიც თელავს აკრავს. სულ 150 ვერსია და 14 სტანცია. უმთავრესი სტანციებია: აელაბარი, ბაკურციხე, კურდღელაური. გზა გაივლის ლილოს პირზე, ახალსოფელზე, ხაშუზე, საგარეჯოზე, ბაკურციხეზე და შემდეგ შეინით კახეთის სოფლების ბოლოს მიმდებარე კურდღელაურამდე. გზა ვიწრო კალაპატისა უნდა იყოს და დღემ სანამ საქონლის მატარებელმა უნდა იაროს და ერთმა მგზავრებისამ.

ეს მოკლე პროექტი, რასაკვირველია, საბოლოო არ არის და შემდეგში შეიძლება ბევრში შეიცვალოს; მაგრამ ვინც კახეთს იცნობს, ის კარგად დაინახავს, რომ კომისიის უმთავრესი სურვილია გზამ მართლა ხალხით დასახლებულ ადგილებზედ გაიაროს და საქიროებას ხალხისას წაუძღვდეს.

ჩვენი მხრით დაუშვებულად გულითად სურვილს, რომ ამ გზამ მართლა ჯეროვანი მაღალი მოსცნოს ჩვენის ერის წყალს, ყოველ მხრივ ავრცინობინოს რკინის გზის საქიროება და სარგებლობა და მოწამე აღარ გავცხადოს იმისთანა უტანურის მოვლენისა, რომ სამოც-ოთხმოც ვერსის მანძილზედ რკინის გზის გასწვრივ ჩვენი ურემი ზოლსწინით მიაჭირალებდეს თავის ტყვერის და ილაჯ-გაწყვეტილი გლეხი თოფის სროლის მანძილზედ უზობლდეს რკინის გზაზედ დანიშნულ ფსებებს და ზოგიერთ მის მოხელეთა უქმეობას.

ივერის* ამ წლის 40 №-ში ეყითხულობთ ჩვენის ტფილისის საბჭოს შესახებ

....ყველაზე ხანგრძლივი და ამის გამო ნაყოფიერი მოურავობა ჰქვდა ა. ს. მარინოვს, რომელსაც გვერ-

ღში უდგნენ: ნიჭიერი მოღვაწე ვ. ა. იზმაილოვი, დაუღალავი და ცნობილი მუშაკი ნ. ა. პაპოვი და ე. ე. ხოსროვეი... ჩვენ გაზეთში არა ერთხელ ყოფილა ჩამოთვლილი საქმეები, რომელიც ვაკელოა ტფილისის თვით მმართველობამ ბ-ნ მატინივის მოუჯავობის განმა ელობაში და ამიტომ დღეს აღარ გავიმორბთ, ვიტყვი თხოვრად, რომ საქმე ერთობ მწყობრად და მარჯვედ მიდიოდა, თუმცა შეტეობა, როგორც ყველა სხვა საქმეებში, აქაც ბევრი იყო, რადგან შეუდომელი მართა ხელთუყარი და მცონარია. ქალაქმა ერთიან იკვალა ფერია...

მაგრამ აგერ დადგა დრო ახალის ამორჩევებისა 1890 წლის გასულს და უნებ ეს მწუბარი მიმდინარეობა საქმის ერთიანად ჩაიშალა....

რა აზრი უნდა გამოვიტანოთ ასეთი „გონიერის“ მსჯელობისგან? აი, რა: —ამომჩინებელნი, თუ გინდათ რომ ჩვენს ქალაქის საქმეები მწყობრად და მარჯვედ მიდიოდეს, ნუ დაარღვევთ ქალაქის წარმომადგენელთ უწინდელს ერთგვარობას და ერთფერობას... და მხოლოდ მაშინ მოისპობა ხელით-უყარელობა და მცონარეობა.“

წიგნი

„მწყემსის“ მე-4 №-ში ვკითხულობთ შემდეგ ამბავს: „ერთი მეგრული საგანს ჩვენ მივიღეთ ქართულად დაწერილი სიტყვები და გეთხოვს მათ გადათარგმნას მეგრულად, ან ეს სიტყვები:

„უფალი, ღმერთი, ანკალოხა, სეტი, ჭვარი, წორვა, შესწარი, დიდი, ჰარი, თვალა, თმა, უური, გიბაი, ენა, გასერი, თათი, ცხვირა, გული, სელი, მკაღვი, ჭედა, ბაშლაჟი, კაბა, წულა, ჩიქმა, წყალი, ღვიბი, მჭადი, კარი, ცხენი, კამეჩი, ჩიტა, ჭიარი, მჭევი, მიმინი, მჭედლი, სურმა, ოსტატა, წისქვილი, კახანა, უურძენი, გულათი, გოდარი, ბაწარი, მოდი, გვანცე, მასწინებელი, სტუმარი, ისდა, უჯარი, კვადლი, სეტი, სარტყელი, ჭამარი, ღვედი, ღვიბი, ბაღაში, ღოგინი, ჭთამი, მამალი, ჭაღალი“.

ამასთან ვკითხვავ, რომ კვლავ საკვლევისა ნიუთბას სასკელები მეგრულად გადათარგმნათ.

მიიღეს საკვლელოში ჩვენ კერ უნახეთ კერ ერთი კაცი, რომ ეს სიტყვები გადათარგმნას ჩვენთვის მეგრულად. ბ. გროსდელი თითქმის მეგრული ლიტერატურის საქმით გაბედხიარულ და მას ესთხოვი მას ღვესიონის საშუალებით გადაგვიარგმნოს ეს ჩამოთვლილი სიტყვები მეგრულად. თუ არ იცის, მას რადან ატყუებდა თავის მთავრობას, რომ მეგრული ენა ეიცია. მიქაია, რომ ესას ბაქოში ბაქოური ლიტერატურის საქმის და თავის სახელს საუფრო მოსასწებლად დასტოვებ ბაქოელებში.

წიგნი

დაიბეჭდა მე-II №-რი ყურნალი „ჯეჯელი“—სა შემდეგის შინაარსით: მიფე და მხატვარი, ლექსი —აკაკისა.—მარიამა, სააღდგომო ლეგენდა—ან. თ.წ.—სა. ცოცე, ლექსი—ზეზუასი.—ვედრება, ლექსი—გ. თოი-

ძისა.—სანდრო ჭევალი—იაკობ სვიმონიძისა.—თოვლი სოფლად, მ. თ.—ძისა.—ჩენი ბგლადი, ნ. აღნი-შვილისა.—მელო ჭხელი, ლექსი დ. მეგრელისა.—ყურმას ამბავი—(ლევანა) ს. დათვიძისა.—ჩენი ფუტკრის ამბავი, თომა ასათიანისა.—გახუფული, ლექსი აკაკისა.—რამასწავლა ტბამ ზამთარში და ზაფხულში (ნათარგმნი) ნ. ე.—ვისა.—მელა ჭ მისი სახლობა,—ი. ს.—ძისა.—რობერტ ფულტონი—ან. თ. წ.—სა.—უტეო ამბავი (თითი ყორანი).—ხელორას ჩივილი, ლექსი, მ. მივდილისა.—ან ჰო, ან არა, (ზღაპარი)—ანდაზები, გამოკანები, ხალხური ლექსები, ჩქარა გამოსათქმელი, აკროსტიხი, სამთემბოკო გამოცანა, შარადა და რებუსი.—სიმღერა მკის დროს, ლექსი აკაკისა, ნოტებზე „ვადალმეული ზ. ჩიკვაძისა.

მოსწავალი სიტყვა

ერთი კაცი შევიდა რედაქციაში და იკითხა: „რა ამბავია, რომ ნაკვეს აღარა ბეჭდათ?“ — „ამედი დავისველია“ იოხუნჯა რედაქტორმა.— „შე დალოცილო, რაც ქვეყანაზე ქვეშა... ტრიაა, სულ აქ შეგიყრია, თანამშრომლებად, და, რაკაცირევილი, დავისველია“ მიუგო უკანასკნელმა.

ერთს გულის ტყვილით ავადმყოფს ეკიმებმა უთხრეს: „გული ვავლიდებოა“. ავად მყოფმა გადააქნია თავი, ნაღვლიანად ჩაიკინა და სთქვა: „ჩემს დღეში ბედს ჩემი თხოვნა ამ ერთის მეტი არ შეუსრულდება და აქაც კი შემეძლარა: მე ჯიბის ვადიდებს ეცხვეწებოდი და იმ დალოციელს ცოტა მალა აუწყვია და ჯიბის მაგიერად გული ვაუდიდებოა.“

ერთი კოპწია ქალი იყო; ლოყაზედ ხალს იკეთებდა ხოლმე; ერთხელ შეცდომით მორე ლოყაზედ გაკეთებია და სწორედ იმ დღეს მოუხდა საუბარი ერთ ახალ-გზულა კაცთან და სხვათა შორის უთხრა: „სწორედ კი შეგის ხარ, რომ მოუსუნებარი არ იყო და ერთს ამაღს ვაჩერებოდეთ.“ — „ისინ, როგორც თქვენი ხალია,“ მიუგო ყმაწვილიმა კაცმა.

ერთი კაცს ჰკითხეს: „ამა და ამ ორ მამში რომელი უფრო მოაწონსო?“ — „ორივეო“, უპასუხა მან; მაგრამ როცა უფროს მძას ხედდა, მაშინ უნტროსი მოაწონს, და როცა უნტროსს ეუყურებ, მაშინ უფროსი.“

ერთ მწერალს უსაყვედურეს: „შენ შენის კალმით არაფერი არ შეგიძენია, საოცნებო ფრენას უნდები და ადვოკატები კი მათი კალმით ქვეყანა სახრავენო.“ — „ეგ იმისი ბრალია,“ მიუგო მწერალმა, „რომ ჩემი კალამი ბატის ფრთისაა, და იმათი კი ძაღლის კბილისა.“

კორნელია გრაკუბის დედა

გორნელიების გვარი ძალიან სახელოვანი გვარი იყო ძველს რომის რესპუბლიკაში. ამ გვარიდან წარმოსდგენ სციპიონები, რომელთაც დაამხვეს კართაგენის სახელგანთქმული რესპუბლიკა. იმათ თავიანთ ღვაწლით დააკვირკინეს რომის ძლიერება და როდესაც ეს გამოიყვანეს და გამდიდრებული სახელმწიფო ჩაეფლა ბოლოს განცხრობის მორავში, მაშინ წარმოსდგა ერ ში ჭონებათა უთანასწორობა, ატყდა გვართა შორის შური და ძალ-მომრეობა, რომელიც იყო წინამორბედი რესპუბლიკური წეს-წყობილების დამხობისა. მაშინ ისევ ამ სახელოვან კორნელიების გვარიდან გამოჩნდნენ ქვეყნის გულშემატკივარნი: ორი მძა ტიბერიუსის და კაიუს გრაკუბი. იმათ თავიანთი სიკაცხლე შესწირეს სამშობლოს კეთილდღეობის გულისთვის ბრძოლას. გრაკუბის უნდოდათ. ძველი რომაული ზნეობითი სიმაღლე ისევ აღედგინათ და სახელმწიფოში მიწით მოაქმედს დაბალ ხალხს ისევ უკან დაპზრუნებოდა დიდ-კაცობის მიერ წართმეული ადგილ-მამული.

აი, ამისთანა სახელოვანი შვილების ამხრდელი იყო კორნელია.

ეს იყო უმცროსი. ქალი სციპიონ აფრიკანელი-სა, რომელმაც სძლია ჰანნიბალი ზამას ბრძოლაში და მოსპო მისი მხედრობა. კორნელია მეტად ნაწაული და განვითარებული დედაკაცი იყო ბერძნულს მენტიერებაში. მის დროს იგი ირიცხებოდა საუკეთესო რიტორად და სახელ-განთქმულ მწერლად. ამ ფრიად ნიჭიერს და მალალ ზნეობით შექმულ ქალს ჰყავდა თორმეტი შვილი; მაგრამ იმათგან მხოლოდ სამიღა შერჩინდა: ორი ვაჟი და ერთი ქალი. თუმცა ქმარი ხან ში შესული მოუკვდა, მაგრამ თითონ კი ჯერ კიდევ ახალგაზდა დაქვრივდა და მთელი თავის სიკაცხლე ამ სამის შვილის გამოზრდას მოანდომა. კორნელიას ქალი შემდეგ შეერთო ცოლად უმცროსმა სციპიონმა აფრიკანელმა, კორნელიასავე მისწულობა.

ქმის სიკვდილს შემდეგ ეკვიპტის მეფემ ბტოლომეოსმა განიზრახა კორნელიას შერთვა; მაგრამ ღვაწლ-შემოსილმა დედა-კაცმა უარი უთხრა და შეუთვალა შემდეგი პასუხი: „განსვენებულმა ჩემმა მეუღლემ მიანდრება სამი დიდი ქონება, სამი ჩემი პაწა შვილი, რომელიც აღზრდას უნდა შეესწიროს და ნარჩენი ჩემი სიკაცხლე და სამეფო ტახტისათვის აღარ მცალიანა“.

ერთხელ კორნელიას ეწვია ერთი ფრიად მდიდარი რომის დიდებულის მეუღლე, შემკული თვალ-მარგალიტით და საკვირველი დიდი ბრილიანტებითა. მას უნდოდა თავი მოეწონებინა კორნელიას წინაშე და ცოტას ხანს შემდეგ სთხოვა, რომ იმასაც ეწვენებინა მისი სიმიდრე. კორნელია ადგა, გამოიყვანა თავის ორი პაწა ვაჟი, ხელი-ხელ ჩაიდებულნი, და უპასუხა ამოცების მოყვარე რომის მატრონას: „აი, ჩემი სიმიდრე ესენი არიანა“.

მართლაც მისი შვილები, ტიბერიუს და კაიუს გრაკუბი შემდეგ შეიქმნენ კორნელიას ნამდვილი სიმიდრედ და უფრო ძვირფას გვირგვინად, ვიდრე ბტოლომეოსს მეფე მის უქაღდა. მისმა შვილებმა იტიერთეს რომის დაჩაგრული ხალხის ბედი და გაუქვლავდნენ ანგარების მოყვარე რომის დიდ-კაცობას, რომ ხელიდან გამოველიჯათ მთელი იტალიის სახანე სათესი ადგილ-მამული და დავიოგვინათ უმიწა-წყლო ხალხისათვის. თუმცა იმათ შესარულეს ეს დიდი ქველ-მოქმედებითი საქმე, მაგრამ თანაც გადაწყვენ.

ტიბერიუს გრაკუსის წინააღმდეგ მოახდინა რომის დიდ-კაცობამ შეთქმულობა და კაბიტოლის ტაძართან ხალხის აჯანყების დროს მოჰკლეს იგი. მას შემდეგ უმცროსმა მამმ მემკვიდრეობით იტიერთა იგივე საქმე. გულ-განეთქილმა დედამ იგრძნო, რომ კაიუსსაც მისი ძმის ბედი მოელოდა და ცხარე ცრემლში დაღობილი უსტარი მისწერა თავის შვილს: „იმაზედ უმაღლესი და უმჯობესი რა იქნება, შვილო, თუ ისე აღებდ შენის ძმის სისხლს და გდაუხდი სამაგიეროს ჩენს მტრებს, რომ სამშობლოს არა ევნოს რაო შენი ბრძოლით; მაგრამ, ვაი, თუ ეს არ იყოს შესაძლებელი. მაშინ ათასჯერ სჯობია, შვილო, ჩენე მტრებს თავი დაანებო და განუტეო ისინი მშვიდობით, ვიდრე ჩენს სამშობლოს რაიმე ევნოს ამითიო“. აი, ეს დედაკაცი და მისი ორი შვილი აუღია პიატრის თავის მხატვრობის საგნად.

ახლანდელ იტალიელ მხატვრებში ძალიან განიჩნევა ნიჭით და ხელოვნებით პროფესორი პროსპერო პიატტი, რომელიც დაიბადა 1843 წელს ფერარაში. ის არის ახლა ორმოც-დაათის წლისა. მან ბევრი სახელოვანი მხატვრობა შექმნა ძველი ქრისტიანობის ცხოვრებიდან, მაგრამ ყველაზედ უფრო მოწონებულია ეროპაში მისი უკანასკნელი მხატვრობა კორნელია, გრაკუბის დედა. ის წარმოადგენს ამ სახელოვანს დედაკაცს, როცა იგი მიდის თავის ორი შვილით რომის მოედანზედ, საცა მრავალი ხალხა დგას და დიდკაცების ქალები დადიან მდიდარს ბაქ-



1891. 10/10/10.



July 1891.

1891. 10/10/10.

ნებში საეკაროდ. ამ მხატვრობაში სწანს, რომ უფ-
კრად ყველას ყურადღება მიუქცევია კორნელიასა
და მისი ორი შვილისათვის. დედა და შვილები მო-
დიან მოედანზედ. კაცები განცვიფრებული არიან კო-
რნელიას ღირსებით, თითქოს ყველა ცდილობს ერთ-
ხელ მიანიც თვალი მოჰკრან ამ სახელოვანს და მის
დროში მეტად წარჩინებულს რომის დედაქალაქს. ზოგს
მაყურებლებს, თითქოს სახეზედ ეტყობათ სიამოვნე-
ბა, თითქოს ჩუმად იძახიან: „კორნელია, კორნელია
მობრძანდება თაყის შვილებითო“. აი, ამ მხატვრო-
ბის პირია აქ გადმოხლებული.

გ. — ლი

ბ ა ი რ ო ნ ი დ ა ნ



ანწირულება შემეცვალა ჰუმენტარებადა,
ნორჩისა იმედსა შეეცქვირეივარ გულ-დაწყვე-
ტილი...
ყველა დასრულდა... მაგრამ ასე ჩემ წინ მა-
რისთვის ციალვებს სხივისანი შენი არჩილი, რადა
ვითა ვარსკვლავი უფკარად ცით მოწყვეტილი!

ყველა დასრულდა, ტანჯვას კი არ მოელო ბოლო —
აი, სუყველა, რაც აწ გულში მაქვს დამარხული...
მშვიდობით სასო ნეტარება და სიყვარული!
მაგრამ ამის, თქვას ახ! ნეტაეი, რაღად ვერ ვებდაე:
მშვიდობით შენცა სამუდამოდ, ჰე, მოკონებუა!

ი. ბაქრაძე

ბ ე ი ნ ე დ ა ნ



მეურთა ქალი ჰებუეს უყვარს,
ქალს კი სხვა უჩნს გულის ტოლად;
ამ სხვასაც სხვა ქალი უყვარს
და შეირთო ივი ცოლად.

ქალი დარღით მას გაჰყვება,
ვინც პირველად წინ შეხებდება;
მაგრამ ჰებუეს კაენანი
საფლავშიაც თან ჩაჰყვება.

ძველი არის ეს ამბაეი!
მაგრამ მარად ახალია,
სჯობს არ განდეს ის ბედშაეი,
ვიზეც ეს მოსავალია!

ი. ბაქრაძე

ლუი ბასტიერი



რომა წარჩინებულმა ძველის ინდოეთის, ანუ
სანსკრიტულის ენის მეცნიერმა 1875 წელს
გამოსცა ფრანკულულს ენაზე შესანიშნავი წიგ-
ნი, რომელშიაც დაწერილებით არცვედა, რომ ბიბლიის,
ანუ დაბადების წიგნის წყარო სანსკრიტულს ენაზედ
მოიპოვება, ესრედ წოდებულს ენის მოძღვრება-
შიო. ეს მეცნიერი იყო პოლ ჟაკოლიოტი, რომელ-
საც შეესწავლა უმაღლესი მეცნიერება სანსკრიტულს
ენაზე პონდიშერის აკადემიაში. პონდიშერის ქა-
ლაქი მდებარებს მალაბარის მახრამში ინდოეთის ზღვის
პირად. მისი შემეცნებით სახელი „ისუ“ ანუ „აესო“
სანსკრიტული ენიდან წარმოიგბსო. აბა, ენ იფიქრებ-
და, რომ მაცხოვარის სახელს ფესვი სანსკრიტულს
ენაში ვედა. „ისუ“ სანსკრიტულად ნიშნავს ცხოვ-
რების განმარტლებელს. მართლაც, რომ ასეთნი კა-
ნნი, მოვლენილი ქვეყნის განმარტლებლად, არი-
ან ახალი ცხოვრების წყარონი და ქვეყნის დამარო-
ხიერებელნი. ხან-და-ხან დამეფლებულს და მამქნარს
კაცობრიობის ცხოვრებას რომ ამისთანა კაცებისა-
გან არ მსხურებოდა წმინდა წყალი განახლებისა და
აღორძინებისა, კაცობრიობა ჯერ კიდევ არ იქნებო-
და გამოსული პირუტყვის ქერქიდან. სწორედ ამის-
თანა კაცებს შორის უნდა ჩაირიცხოს პასტიერიცა. იმან
თავისი მეცნიერებით მოჰფინა ახალი ნათელი მედი-
ცინას, მკურნალობას და აქამდის ბედგრულს და
უფიცეს კაცობრიობას მისცა ხელში ახალი იარაღი
მის მშესრავის სენი! საწაანაოღვეგოდ. პასტიერამდის
სამკურნალო, საექიმო, მეცნიერებას არავითარი ლა-
ნისძიება არ ჰქონდა, რომ ცოფით დატენილი მოერ-
ჩინა და მრავალნი სასტიკნი ავად-მყოფობანი, რო-
გორც მავალითად საქანლის ჰორი, ბედნიერი, ზო-
ლორა და ბეჭი კიდევ სხვა მძენივარე კაცის მშუსრა-
ვი სენები ქლეტდენ შეუბრალებულად ადამიანის ნა-
სახს. ვერავითარი მკურნალი, თეთი უმაღლესი. სამ-
კურნალო მეცნიერებით და გამოკვლევებით შემკუ-
ლი კაცი ვერასდევს იგებდა, თუ რა საშუალებით განე-
თავისუფლებინა შემოხსენებული სენებით შეყვრო-
ბილი ავად-მყოფები. პასტიერმა ყოველს სენს, ყოველს
სატკივარს აღმოუჩინა თავისი მიზეზი და მიუთითა
მეცნიერებას ისეთს ღონისძიებაზედ, რომ აწ მისი
განკურნებაც შესაძლებელია.

ლუი პასტიერი დაიბადა 1822 წელს 15 დეკემ-
ბერს საფრანგეთის ერთ მიკრე დოლის ქალაქში.
ბერს წარმოადგენდა, რომ დარიბს ქონში დაბადებუ-
ლი ჩვილი ბოლოს განახლებდა კაცობრიობის მეც-
ნიერებას და აღმოაჩენდა ისეთს ჰენიერების წყა-
როს, რომლითაც მძენივარე სენით დაერდომილს
კაცობრიობას მიანიჭებდა განკურნების საშუალებას.

წარსულს 15 დეკემბერს პარიჟში ილდესასწაულეს ამ საკვირელოს კაცის სამოკდა ათის წლის დღეობა, მოსტერს მის სასულზე ახალი მედალი. ამ დღესასწაულზე მიაწყდა ყოველის ქვეყნის კუთხიდან მკურნალთა მეცნიერთა წარმომადგენელი. დღესასწაულობა იყო განართული პარიჟის დიდებულს სოზობანის დარბაზში. სხვათა შორის მისალაკავად მიბრძანდა საფრანგეთის პრეზიდენტი კარნო, რომელსაც გულანჩივლებულმა მოხუცმა პასტერმა მიმართა შემდეგი სიტყვებით:


„ბატონო პრეზიდენტო საფრანგეთის რესპუბლიკისე! თქვენმა აქ მობრძანებამ სრულიად სხვა ფერი დასდვა ჩემს დღესასწაულობას. შინაური ჩემი დღეობა გარდაიქნა საქვეყნო დღესასწაულობად ღ უბრალო დღეობის გადახდა მეცნიერისა თქვენის მეოხებით შეიქნა სახსოვარ დღედ საფრანგეთის მეცნიერებისათვის“.

პასტერს ყმაწვილობიდანვე ჰქონდა მიქცეული ყურადღება ერთს ბუნების შესანიშნავს მოვლენაზედ: რომ ჰაერში მრავალნი წვრილმანი არსებანი ირევიან, რომელნიც უბრალო თვალთ არა სჩანან, მაგრამ გამდიდებული შუშა, ანუ მიკროსკოპი კი ცხადად დაანახებდა კაცს ასეთს ცოცხალს არსებებს, რომელთაც მეცნიერებმა უწოდეს მიკრობები, ანუ ბაქტერიები.

ბაქს რვას სამოც წლებში საფრანგეთში ძალიან გავრცელდა აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობა. ევრაიენ ევრ შეიტყო, თუ რა იყო მიზეზი ამ ავადმყოფობისა. აბრეშუმის წარმოება ძალიან დაეცა იქ ამ წლებში და ხალს დიდი ზარალი მოსდიოდა. პასტერს ღიდი ხანია მიქცეული ჰქონდა თავისი ყურადღება ამ უბედურს მოვლენაზედ და დღე-ღამე მუშაობდა ამის გამოსაკლებად თავის ოთახში. ბოლოს იმან გამოუცხადა მთელს ქვეყნიერებას, რომ აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობის მიზეზი ერთნაირი მიკრობი არისო და დაწერილებით ასწერა ამ მიკრობის თვისება. თვით ეს უბრალო თვალთ უხილავი ცხოველი მიკროსკოპის საშუალებით დაანახდა ყველას და უჩვენა კიდევ მისი მომაკვდინებელი წამალი. ამიერიგან პასტერის მეოხებით საფრანგეთის აბრეშუმის მკეთებლებმა შეიგნეს ამ სენის წამლობა, რომლითაც ხალხს მოუსპო მან უნაგარიშო ზარალი. მაგრამ პასტერი მაინც არ დაემაყოფილა. ის მიხვდა, რომ როცა რაიმე ცოცხალი არსება—ხორაკიელი, ან მცენარეული მოკვდება და დაფურელება, როცა პურის ცომი ღლელება, ანუ აფუფელება, ღვინო ძირში თხლეს იკეთებს, ან ქმარდება, როცა რძე მყავდება და სხვა: — სულ ამანების მიზეზში უწყველად ის ჰიკრობები უნდა იყნონ, რომელნიც ჰაერში მრავლისაგან უმრავლესნი დაჰქირან

კაცის თვალის უხილავად. მართლაც ყოველს წამხდარს ორლანულს არსებაში: სისხლში, განავალში, ღვშში, დაშალ მცენარეულობაში და ხილში პასტერმა აღმოაჩინა ბაქტერიები მრავლისაგან უმრავლესნი და გამოაცხადა, რომ ყოველი ავად-მყოფობის მიზეზი და ცხოველ-მცენარის დარღვევის, სიღამპლის მიზეზი უჩინარი ბაქტერიები და მიკრობები არიანო. ამ სახით იმან დაბადა ახალი მეცნიერების კანონები. აი, ეს კანონები: „1, ყოველი ღვობა, იარა, ჩირქი, ანუ სენის ვესლი ცოცხალ არსებათა ბრალია. 2, აცრა არის სენის გამქარწყლებელი. 3, ამიერიდან მკურნალობას (ექიმობას) უნდა ჰქონდეს საგნად, აცრის საშუალებით ყოველი სენი განაქარვოსლდა ავადმყოფი მოარჩინოს.“

ამ საკვირველ მეცნიერულ კანონების დასამტკიცებლად პასტერი შეუდგა შემდეგს დაკვირებას: პირველად იმან მიაქცია ყურადღება ქათმის ჭირს და აღმოაჩინა ჭირიან ქათმის სისხლში აუარება მიკრობები. აილო იმან ერთი წვეთი ჭირიანის ქათმის სისხლისა და ჩააწვეთა ბულიონით სასენ პაწია შუშის ქილაში. მეორე დღეს ნახა, რომ მთელი შუშა ბულიონი სულ გაესებულიყო პაწია მიკრობებით. ცამოდა, რომ ეს ბულიონი კარგი ნაყოფიერი ნიღაღი ყოფილა მიკრობებისთვის, რადგან ძალიან ებარტყნათ. ახლა ეს მიკრობების ბარტყებიანი ბულიონის წვეთი აილო, გაუტყა ძარტვი ტანმთელ ქათამს და შიგ ჩასახს. ქათამს მაშინვე შეეყარა ჭირი და მოკვდა. პასტერმა ერთი იმ ბულიონის წვეთი, საცა მიკრობის ნაბარტყი იყო, გადაახსა მეორე ბულიონთან შუშაში. წარმოადგინეთ, იქაც იბარტყა მიკრობმა! აქედან ერთი წვეთი კიდევ მესამე შუშაში გადაახსა. იქაც იმგვართვე იბარტყა მიკრობმა, აილო ამ უკანასკნელ შუშოდან მიკრობის ნაბარტყი და აუცრა ტანმთელს ქათამს; იმასაც მაშინვე შეეყარა ჭირი და მოკვდა. რაკი ეს უნინა, შემდეგ სამი კვირა მოაღდევინა ამ მიკრობებს ბულიონითი სასენ შუშებში და საკვირას შემდეგ ისევ აუცრა ეს მიკრობები ტანმთელ ქათამს. გამოდა, რომ მიკრობებს ის საშინელი მომაკვდავი გველი დაჰყაროდათ. ქათამი თუმც ცოცხად ვახდა, მაგრამ მალე მოჩხა. შემდეგ ეს ქათამი შეუჩრია ჭირიან ქათმეში. აცრილ ქათამს აღარაფერი ენებია; აუცრელი ქათამები კი ჭირით იხორცბოდნენ. აქედან პირდაპირ მიხვდა პასტერი, თუ რა უბრალო წამალი ყოფილა აცრა ყოველი სენისათვის. ამ გვარადვე სცადა იმან საქონელის ჭირის აცრა. ჯერ ამ სენის მიკრობი ხელიერურად აბარტყა თავის პაწია შუშის ქილებში. დააყენა იქ დიდხანს მიკრობების ნაბარტყი, რომ იმთ გველის ძალა გამოლოცდათ, მერე აუცრა იმითი საქონლებს ჭირი და აბტაცებაში მოვიდა, როდესაც დარწმუნდა, რომ მისგან აცრილს



პ. ილიაძე

საქონლებს ჭირი აღარ შეხვდათ. ახლა პასტერის წყალობით საფურანგეთში საქონლის მეპატრონეებს ჭირისა აღარ ემინათ.

პასტერმა განაგრძო თავის შემეცნება და საცადი სხვა უფრო საშიშ სუნზე.

იმან მოაქცია ყურადღება ცოფიან ძაღლს. განიხილა ცოფიანი ძაღლის მდარბი და მართლაც ნახა შიგ ცოფის მიკრობი; მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ეს ის ცოფის არსება არ არის, რომელიც ცოფსა გვრისა.

ამას შემდეგ იმან გასინჯა ცოფიანი ძაღლის ტვინი და, აი, იქ აღმოაჩინა მრავლისგან-უმრავლესი ცოფის მიკრობები და შეუღდა ამ მიკრობების თვისების გამოკვლევას. ბეგრის ხნის სცხა და გამოძიებას შემდეგ პასტერმა მიაგნო, რომ ცოფისა, ანუ ბრაზის მიკრობებს ეკარგებათ ძალა, თუ რომ ცოფიანი ძაღლის ტვინი გაახმე. შემდეგ ეს გამხმარი ტვინი აუტრა ტანმთელს ძაღლს. გავიდა ორი, სამი თვე და ძაღლი არ გაცოფიანებულა. შემდეგ ეს ძაღლი დაკბენილა ცოფიანს ძაღლს და, ემა, საკვირველებად!—დაკბენილი ძაღლი აღარ გაბრაზიანებულა. ბევრ სხვა ცხოველებზედაც სცადა ამ გვარადვე ცოფის მიკრობის ატრა და ყველა ცხოველები განთავისუფლდნენ ცოფიანის ნაკბენისაგან. თუმცა პასტერი ზედ-მიწევნით დარწმუნდა, რომ ცოფიანისაგან ნაკბენისათვის ცოფის ატრა უფროსი წამალი ყოფილა, მაგრამ კაცზედ მაინც ვერ გაზედა ამ საშუალების ჩხარება. თვითონვე გამოაცხადა პირველ ხანებში, რომ „ცოფის ატრას კაცზედ ვერ გაზედაც, ხელი ამიკაკალდებოა“.


„იელისის 4 1885 წელს ერთი ცხრა წლის ყმაწვილი ოსებე მისტერი მიღლიდა სოფელ შტიეგიდან მისინგოტის სკოლაში სასწავლებლად. უფრო და დეცაკა მას ცოფიანი ძაღლი, ჩაიდვა ქვეშ და დაუწყო კბენა უწყალოდ. მივარდა ერთი ვიღაც კალატოზი და რკინის უროთი მოაშორა ძაღლი საწყალს ყმაწვილს. ყმაწვილი იყრა თოთხმეტკან ნაკბენი. გამწარებულმა დედამ მაშინვე მიაშურა დოქტორს; მაგრამ იმან უთხრა: მე მაგის მორჩენა არ შემიძლიაო, პარიეს წაბრძანდით, იქ უღმის ქუჩაზედ ერთი კაცი ცხოვრებს, სახელად პასტერი ჰქვიაო, იქნება, იმან გიშველოს რამეო. იელისის 6 დაკბენილი ყმაწვილი და მისი გამწარებულა დედა იღვენ პასტერის სამუშაო ოთახში. დედა ცხარის ცრემლით იღვრებოდა და ცხვეწებოდა პასტერს შევალა. მაგრამ საკვირველი მეცნიერი დღე უცაგნში იყრა. ბოლოს ის დაეკთხა თავის მეგობრებს, პროფესორებს: ეულობანეს და გრანშეს. იმათ უჩირეს: „გაზედაც არა უშავს რაო“.

გრანშემ უთხრა, მე თვითონ მივიღებ ჩემ თავზედ ცოფის ატრას თქვენს ზედახედველობას ქვეშეო. იმან

მიჰყო ხელი დაკბენილს ყმაწვილს და პირველად აუტრა ძალიან ცოტად. შემდეგ ცოფის გესლი თანდათან უმატა, ასე რომ ცამეტჯერ აუტრეს და უფრო და უფრო აძლიერებდნენ გესლსა. რაც ხანი გავდიოდა, ისე უფრო და უფრო მოდიოდა თვით პასტერი მლეკარებაში. ბოლოს იმდენად აქმალა საკვირველს მეცნიერს ტვინის თავები, რომ უჩირეს, ქალაქი ვარეთ წასულიყო თავის საზაფხულო სადგომში და დაპირდნენ წერილებით და დევეშებით ამბების წერას. მაგრამ პასტერმა აქაც ვერ მოითმინა და რამდენსავე დღეს შემდეგ ისევე დაბრუნდა თავის ავადყოფიან. გავიდა წამლობის ვადაც, ყმაწვილი სრულიად ვათავისუფლებულა დაბრუნდა თავის დედასთან ელზასში. პასტერის აღტაცებას სასლევარი აღარ ჰქონდა. იმან დაბაზრა თავის პაწია მეგობარს, რომ სახლიდან მიწერა-მოწერა გაემართა და თავის გარემოება შეეტყობინებინა მეცნიერისათვის. ამ დროდნ ერთის წლის განმავლობაში პაწია ცოფისგან მორჩენილი მისტერი ხშირად სწერდა თავის ძვირფას ბატონ-მეგობარს პასტერს გრძობით სავსე წერილებსა. ამიერიდან პასტერის სახელი განითქვა მთელ დედამიწის ზურგზედ. მისი მეოხებით სხვა-დასხვა ქვეყნებში და სახელმწიფოებში დღეს გამართულია პასტერის სამკურნალო სადგომები, სადაც უტრიან ცოფიანი ცხოველებით დაკბენილს და არჩენენ. ერთი ამ ვადის სამკურნალო სადგომი ტფილისშიაც არის ამ ეკვარს, მიხაილოვის ქუჩაზედ, იუნკერის სკოლის მახლობლად.

ამ სახით პასტერმა თავის გამოკვლევით სრულიად შესცვალა აზრი გადამდებ ავადყოფილებაზედ. მისი ხელმძღვანელობით მრავალი მეცნიერი არამც თუ ევროპაში, იაზონიაშიაც კი იკვლევს ატრის წესს ყოველგვარი სენისას. თვით მეცნიერი კოხი დღეს თავადდებულაო, რომ გამოაჩინოს ატრს წესი ქვეყანებისთვისაც. მაგრამ ჯერ-ჯერობით კიდევ ვერ მიმხედარან, რანაირად შესაუსტონ ქვეყნისა და ხოლერის გესლი, რომ მისი ატრით ავადყოფილები რჩებოდნენ.

X—ლი



სწავლის საქმე ჩვენში

(შემდგომი)



„ატრისა“ „იკრისა“ თხანამშობელი რომ მწერდად მარ იყოს სამართლადანობას გახმობასთან, მაშინ მის ეველს გარემოებას მიადებდა მსჯელობაში და ისე დააფასებდა ტფილისის სკოლის მოქმედებას. ეან არ იცის, რომ გამანახაის ჰირველი ელასისათვის უმაწვი-

* იხილეთ „სწავლის“ მე-9 №-ი.

ლის მომხდებდა კერძო ზნისიონებში უკუდებო ჩვენი შიშობ-
 ლებს არა ნაკლებ 1200 მანათისა. მაგრამ ხშირად ეს
 ხარვეზი ტუქილად ჩაივლის ხოლმე და უმწიკელი, რომელ-
 საც ამხადებენ უფსო ენის სანუალებით, გზის დაჯანგუ-
 ლი რჩება, რადგან მას უმხელდება სწავლის განკერძობა
 და ხშირად შოთხე კლასის აქით კვლავ მიდის. ესეც არ
 იყო, სიღ შეუძლიათ ჩვენს შიშობლებს ანდენი ფულით გაიღონ
 თითო ბაჭუშის მოსამხადელად რატომ ამის არ ანკარაობის
 რამდენი დაუფლებოდათ შიშობლებს, რომ კერძო ზნისიონ-
 ნებში ესწავლებინათ თავიანთ შვილებსაც, რომელნიც
 ამ უმად სთავად-ახნაურო სკოლაში იხრებებიან? რამდენ-
 ხა სრეთა წავადოდა ორასი ბაჭუშის სწავლებსუე კერძოდ?
 ხომ 30,000 მანათიმდის დაუწყებოდათ, თუ მეტად არა?
 რატომ ამ მხარეს არ მიაქვან უფროდლებს სამართლიანმა
 გონიერებისა? თუ ამისაც არ დაიწყებთ, რომ სკოლა
 ვებულებს სრულიად უმეარს ბაჭუშებს და მარტო მო-
 სამხადებულის კლასის კურსს არ ასწავლის, — რომ იქ
 უმწიკელები ასრულებენ ზოგამხანაიულ კლასებსაც, მშინ
 ადვილად გაიგებთ, რა შინაშეულობა უნდა ჭქანდეს შიშ-
 ბლებსაც, ამ გვარს სკოლას და რა შუაგაისი უნდა
 აძლევეს იგი მათ შვილებს სწავლა-აღზრდის საქმეში.

ტფილისის 1-ის გიმნაზიას, რომელსაც საკუთარი სხელი აქვს, უკუდებს
 წელიწადში ერთი მოწიკვის . . . 103 მ. 292 მ. 395 მ.

მეორე გიმნაზიას, სიდავ ზნისიონ-
 ხა არ არი სკოლა მოწიკვის . . . 113 მ. — " — "

ჭუთასისა გიმნაზიას . . . 124 მ. 237 მ. 361 მ.

ტფილისისის ზოგამხანაზიას (ამ
 უმად გიმნაზიას) . . . 124 მ. — " — "

ჭუთასისა ზოგამხანაზიას, რომელსაც
 ზნისიონი არა აქვს და რომელიც
 შესდგება ერთი მოსამხადებულის
 და ოთხის ზოგამხანაიული კლასისაგან,
 ესრევეს წელიწადში 27,315 მ. და ერთი მოწიკვის
 სწავლებს უკუდებს . . . 131 მ. — " — "

ტფილისის სთავად-ახნაურო სკოლას,
 რომელიც შესდგება მოსამხადებულის
 კლასის ოთხის განყოფილებისაგან
 და ოთხი ზოგამხანაიული კლასისაგან
 რომლის ზნისიონში ირიცხება 80 მეტო
 მოწიკვი და სხლის ჭირას იხდის
 წელიწადში 4350 — 4600 მან. 95 მ. 174 მ. 269 მ.

როგორც ამ ცნობებიდან ხედავთ, ტფილისის სთავად-
 ახნაურო სკოლას უფრო ათავდ უკუდებს შენსებას
 და სწავლებს, ვიდრე სხვა სსსწავლებლებს. კერძო სკოლას
 ბუკონ დაზოკილდებ უდვას წინ და ამის მიხედვით იმდენი
 არ მოუთხოვება მას, როგორც სხვა სკოლებს, რომელ-
 თაც უკუდებენ უფლებს მიხატული აქვით და ფართო

გზის აქვით განსხილი. ახა, უკუდამ სკოლა შეუწყვიტ ჩვენი
 სკოლებს, ნუ მოაკლებთ ჩხეობრავს და ნიოთიერს თა-
 ნაკრძობას, გაუწყობესეთ მათი მდგრადობა, როგორც
 გაუადვილეთ მოწიკვების მართებლობის სსსწავ-
 ლებებში გავსივლა და სხვათ, თუ მეტო სწოთი არ
 მოიტანინა! უკუდ ჩვენი უნდა კმოდვს, რაში მდგო-
 მარობის დამზარებლებელი მიხეზი და სამართლიანად
 უნდა იღაზარკოს. ვერ მოკვიპერსება, რომ დაბრკოლება
 თავიან ავიცილოთ და კიამსით სსსწავლებელი მთარად
 გუადუბო. მეუ რას გუბრევეს ზოგთობობა? რადგან
 იმდენი ვერ გავდას გიმნაზიებში, რამდენიც სსსწავლებლად,
 სულ თავი დაჯანგობით ამ გვარს სკოლას და სხვა გუ-
 მართობი სსსწავლებელი და სსსწავლებელი. რას აწობობთ? რო-
 გორს გუბნავთ დასრულებით შიშობლებს სსსწავლა გა-
 ნიოლებს თავი დაახებთ და შვილები ჯარ მისცენ გი-
 მნაზიებში და რეალურ სსსწავლებლებში?

ამის გრდა, როგორ ჭეჭებობთ, სხვა გვარი სს-
 სწავლებლები კი არ იფერს დაბრკოლებას შესდგებიან და
 თავისუფლდები იქნებიან უკუდელის მიხეზისაგან? გარკად
 ვიფიქრობთ. სსსწავლებლის და სხლის ცხოვრება ისეთი
 რთული რამ არის, რომ ადვილად არ განხმარტება. ხლ-
 ხა ერთობით წარმოდგენილი და მთელა სსსწავლებლებს
 ხშირად უფრო მდლად გვას კერძო ზირის მოსარება-
 ზე; მისი გარება უფრო შირს გამჭრეტელად ხშირად,
 ვიდრე კერძო ზირისა. სხდაც კერძო ზირი გატარებულად
 ერთის რომლისამე მხრით, იქ ხლხა თითქო ინსტინქ-
 ტურად გრძობს თავის დროის სსსწავლებლის და ცდო-
 ლობს ახვანში გაუქიას მრავალ ვარ მიხეზებს. ხლ-
 ხა "იკურის" თანამშობრედს კი არ ჭვავს, რომელსაც
 ისეთი რამ წარმოუდგენია, რასაც მსკვიპებს კი არა აქვს
 სინამდვილეთან. წარმოადგენილი, რომ უკუდებს ჭარ-
 თივლმ კლასიკური სწავლა-განათლებს მიიღო, დასრულდა
 გიმნაზი და უნივერსიტეტი (სწორედ დაიღუპება მშინ
 სსსწავლებელი), მშინ ორი მილიონი ჭარბივლობა მია-
 წველებლად კნტელარებს და სუო მანათიანი ადგილებს
 თხიანას დაწივებდნო. რატომ ის არ წარმოადგენს, რაც
 უფრო წარმოსადგენია, რაც უფრო შესამდებელია?

მაგალითად, რატომ არ წარმოადგენს ბენის თან-
 მშობრედს, რომ გიმნაზიში ვერს დასრულებულიები მი-
 დინ, გარკად იქურს კვხამქის ერთად რეალისტობთან,
 შედინ ტუნსოლოგიურს ინსტრუტში, ახუ უმადელს
 სსსწავლებელი სსსწავლებელში, სწავლობენ უნივერსიტეტებ-
 ში ბუქნებს მეცნიერებას — ბოტანიკას, ჭიამას, მიხერა-
 დოგას, გეოლოგას, ასტრონომიას, სწავლობენ მეურ-
 ნობას, ექიმობას, სწავლობენ ინჟინრობას, სწავლობენ
 სამართლის მეცნიერებას და სხვა სსსწავლებს, რომელთაც
 სხვანად აქვით ხლხის კეონომიური და სოციალური

სწავლა აღზრდა
 ლბა. და აღზრდა
 სულ

მდგომარეობის გაუმჯობესებას. მერე მოდის ამ გვარად განხილული კაცება თავიანთ ჭკეუბანში, თითოეული მათგანი თავის სჯავსანს ჰკადრებს ხელს, თავის საქმეს ბუკითად ეკადრება და თავის შრომით სარგებლობა მოაჭკის სამშობლოსათვის, ეს რატომ არ წარმოადგინა? კვ ხომ ნამდვილი სურათი აქებოდა, სურათი იმისა, რაც სხვა ჭკეუნიშინაც მომიხდარს და შეიძლება ჩვენთანაც მოხდეს და არა სხაზღვრო რამე? კურონამ ხომ დავაიმტვირცა, რომ უოკლეივე ეს შესაძლებელია? ის კი ვერ არსად უოფელა ამ სხითა, რა ადვალსაც ბ-ნა თანამშრომელი სკოლის მომსრელები მიასწერს და არც ის, რომელიც თითონ წარმოუდგინა და უნდა მოაწონოს საზოგადოებას.

წარმოადგინითო, რომ ვაჭკის რუკლური სასწავლებლები, სამეურნეო, სატექნიკო და სხვა. (მოდან კარგი, მგრამ ეგელა ამას ხომ საზოგადო სწავლა-განათლება და მომსახლება უნდა? ეს კი რატომ ეკლარ წარმოადგინათ, თქვე დალოცულია?) მისინ დავუთრუნდებითა მამულის, შევაიმეშავებთ, ავაყვავებთ, ვავაშრთავთ ფაბრიკებს, „სავოდელებს“, დაჯგუთბთ მამსინს. ეკლას თავისუფალი შრომა გეკმეხება. აქნება მოხელე კი არც ერთი არ ეამქვეს, აქნება გეგსევეწობდენ კიდეც (სუ სწუხართ, არ შეკეხევეწი ბანას) და ჩვენ არ სესურობდეთო. აა, რა წარმოადგინა აოკეივისა? თანამშრომელი. ეს არის იმისა ადვალა. ის რატომ ეკლარ წარმოადგინა, რომ არ შეიძლება მარტო სატექნიკო და სამეურნეო სასწავლებლებით ვავისოს მთელი საქართველო! ორი მილიონი ხალხი რომ სულ მეურნეებზე და ტექნიკეებზე ვახდეს, როგორ უნდა დაჯამყოფილოს სხვა მხარეები, სხვა მოთხოვნილებანი ცხოვრებისა? ეგელანი რომ სთოფელში დასხდენ, ქალქში ვინადა აქნება მმართველი, ვის ხელში აქნება ძალა, ვის ხელში აქნება საკონომო და საზოგადოებრივის წეს-წყობალების სხე თუ ისე წარმართვა? მეურნეები ვამდებენ ამისთანას საქმეში? მერე ისეთი მეურნეები და ტექნიკოსები, რომელთაც საზოგადო განათლება არ მიუღიათ, რომელთაც სიმუხლო სასწავლებლებიც არ გაუყუდიათ?

არა, ბ-ნო თანამშრომელი, თქვენა ანგარიშები და ოცნებები სიამართლის წინააღმდეგა და ვამოსჯევი არ არის ნამდვილის ცხოვრებისთვის. თუ არ გუერთო, რასაც გუყენებთ, ერთს თვალ-სახითა მავალთის ტეტეით და მით დავანახებთ თქვენს მართალ-მსაყრდელას, თქვენს სამართლანს დაფასებას. ვინაითკან თქვენ ზეუღიანისტი ჰბმხდებთ, რასაკვირვებლად, ავობებს, რომ დიკურ-ტურ-რადან ავობით ეს მავალთია—უფრო ვასახებთ აქნებ თქვენთვის. წარმოადგინეთ ერთი დიდიური ცაკნობი (თქვენ თქვენ ძალან გეყვართ წარმოდგენა?), რომელსაც ჰქავს ათას-ორასო ხელის მომწირი და რომელიც დირს წელიწადში თოქნად. მისასადამე თანამშრომლები ამ ვანეთის

ილებენ წლას განმავლობაში 12,000 მხნათს. მგრამ ახლა ისიც წარმოადგინეთ, რომ წლას განმავლობაში სამი ოთხი ნომერი თუ დაბეჭდვება ამ ვანეთისას ისეთი, რომ ცოტაოდნად გოცნება-განგათარბული კაცი დაჯამყოფილოს თავის შინაარსით; სხვა ნომერები ძლიერ სუსტია, უფერული და სმირად ვაკსებულად დაჯგუნის; მნათების და რეინის გზის რომლისმე სტანციის უფროსის თანამშრომელს გავაუქნა-ვადმოუქნას ამაბოთ, რომელიც არავითარს ინტერესს არ წარმოადგენს მეთოხველის საზოგადოებასთვის. უკუწვლად ამისთანა ნომერები შესადარებელი არ არის ამ ორ-სამ კარგ ნომერთან და ანგარიშის დროს სათვალავში არ ჩავარდება არც ერთი: უნდა ვანგარიშობთ მხოლოდ სამი-ოთხი კარგი ნომერი და მთელი ხარჯი უნდა გუყოთ ამ ნომერების რიცხვზე. მისინ ვამთავრ რომ თითო ნომერი უდება წელიწადში სამს-ოთხის თოქნად. ვაკონიდა ამისთანა სიძვირე! სულ ბეკრი რომ ვსთქვით, ერთი ნომერი ვანეთისას უნდა დირდესოთი შუური, მეტი არა. ეგელა ნომერები რომ ვანგარიშობთ, რაც ურიდება ხელის მომწირლებს, მთელი ხარჯი ერთის ნომრისა შესადგენს თორმეტს თოქმას. სისებული ვანეთის თანამშრომლები კი სამს-ოთხის თოქმას მიდრთმევენ... აა ნომერი თქვენის დაფასებას!... მგრამ არა, ამ ვარად დათვალა არ შეიძლება ვანეთისა; დანარჩენი ნომრებზე უნდა მივაღოთ სათვალავში, თოქმაც ისინი შინაარსით მდადარნი არ არიან, მგრამ ჩვენს მდგომარეობაში ისინი საშესურსი გეოქვენ; თუ ბერს ცოდნას ვერ გექვენ და ვერ ვაკეფიხებლებ, როგორც რაგათ ჩინებულის ვანეთისა, ვითხვას მანც არ ვაკავიქვენ... ესენ სასარგებლობა ამისთანა დროს, როდესაც ეგელა და უოკლეივე ვაქარწვლებას უქდას სამშობლო ქნას.

თანამშრომელი საკითხავს ადვალა, ისინი სხდას წავიდე, რომელიც ვამნახათში არ შესულანო. მგრამ ჩვენთვის ისინი აუჯრ საჭიროანი, ვინც ვამნახათში ვადვადე და დანარჩენების ბუდს რას დაჯგუთთ... თქვენ თუ არ დასდეეთ, კვ თქვენი ნებაა. ჩვენ კი დაჯგოგულაზე არა ვსთვლით ამით, რომელიც ვამნახათში არ ვდასულან და სხვა სასწავლებლებში სწავლობენ. ზოგნი ვკადენს სოფელად და თავის ოჯახში აბან; არც ამათზე დასარბული ფული მივკანია წულში ვადგებულად. სულ რომ მიდრე ვსთქვით, თათქმის ეგელამ წერა-ვითხვა ისწავლა, ვინც კი არა ნაკლები ექვისი თვისა ვათია სკოლაში; ბუკიამ ზირულად დაწვებითა სწავლა მიღლი, სამშობლო ქნა იღის და არა ჰქავს იმით, ვისაც კურთხე მინათებში მთელიან ზირულად დაწვებითა მომიხდება. მგრამ ამით ვერ დავაბოლოებთ სკოლა-მოტახილის საკითხავის ზასუსს. კვ საკითხავი ბ-ნო „აოკეივისა“ თანამშრომლის ადრბრული არ გეცინოსთ; ის მხოლოდ ამტორებს იმის,

რასაც ვაი ხნაიან გაციხიან ჩვენი სკოლების მოწინააღმდეგეები. ბრალსა სდებენ ჩვენი სკოლებს, რომ ყველს მოწინააღმდეგეები ვერ ასრულებენ სკოლას, ვერ გადადიან გიმნაზიუმში და გზა-მარჯვ რბიანია. მართალია, ყველანი ვერ ათავებენ სკოლას, ყველანი ვერ გადადიან გიმნაზიუმში; რამდენიმე ნაწილი სხვა სასწავლებლებში გადადის, რამდენიმე ნაწილი სემსხურში შედის სადმე და ზოგანი ჰმირუნდებათ ასეე მინისკენ. მაგრამ როდესაც ამ სკან-ზე სვებან, ამ გვარად აღაზარებენ, თითქოს ეს მართლ ჩვენი სკოლების სენი იყოს და სხვა სასწავლებლები ასე იყოს მოწყობილი, რომ ამ ყველანი ასრულებენ სწავლას და ამართლებენ სრულიად, რაც განსრისკა ქტიხდით შშობლებს, როდესაც მათ თავიანთი შეილება მიადარეს ამ სასწავლებლებში. ვინც არ იცის, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად სწავლ-განათლების საქმე, შეიძლება მართლად ითვი-ქროს, რომ არის სადმე იმისთანა სასწავლებელია, რომელშიც ყველანი ასრულებენ სწავლას, ან შეიძლება ითვიქროს, რომ ბატონის „იკერიის“ თანამშრომელს და მის თანამოაზრეებს შეუძლიათ გაცაისხნან ამისთანა სკოლაო. დიდი შემედარი იქნება, ვინც ამის ითვიქრებს. სასოგლოდ მოკლენა ყველს სასწავლებლებში, რომ ყველანი ვერ ამთავრებენ სწავლას და მრავლანი უდროოდ თავს ანებებენ სკოლას. სამწხაროა ეს მოკლენი და ცდილობენ ვადეც, რომ როგორმე მოსძიონ ეს სენი, ან შესუსტონ, მაგრამ ვერ უნებარი წამალი ვერსად ვერ უნოვათ. ჩვენი სკოლების მოწინააღმდეგეები იმით ხსნიან ამ მოკლენას, რომ უმწაილებს ძველს ენებს საწავლანო და როდესაც აღაზარევი ჩამოვარდება სკოლაზე, სულ ვოკლეოთის ეს მოაქვთ უმთავრეს საბუთად. ავიწყლებით, რომ იგივე სენი დასწებება სხვა სასწავლებლებსაც, სხვაც სხენებაც ვა არ არის ძველის ენებისა. დასამტკიცებლად ამისა გადავშე-ლოთ სასწავლებლების ანგარიშში და შეიკრებთ, რამდენი ნაწილი ვერ მიდის ბოლომდე და თავს ანებებს სწავლას. გაცეასიან გიმნაზიუმში და პროცინაზიუმში 1889 წელს თავი დაუნებებია სწავლისათვის 495 მოწაფეს, რაიცა მოწაფეთა საერთო რაიგნიან შედარებით შეადგენს 14,3/0, 1890 წელს—705 მოწაფეს, ანუ 19,1/0 და 1891 წ.—459ს, ანუ 11,7/0. რეალურს სასწავლებლებში თავი დაუნებებია სწავლისათვის 1889 წ.—476 მოწაფეს ანუ 22/0, 1890 წ.—391-ს, ანუ 17,5/0 და 1891 წელს—340-ს, ანუ 14,8/0.

1891 წელს გაცეასიან საქალაქო სასწავლებლებში ყოფილა 6240—6699 მოწაფე. ამთიან თავი დაუნებებია სწავლისათვის 1559-ს, ანუ 23,2/0. სასკოლოსი სასწავლებლებში ირიგნებოდა სულ 554—591 მოწაფე. იმავე წელთანაში თავი დაუნებებია სწავლისათვის 146

მოწაფეს, ანუ 24,7/0. ახლაც იაღვთ რეიხის გზის სატეხნიო სასწავლებლის ანგარიშში. 1890/81 წლიდან 1892/93 წლამდე და აქვრ ნასკით, რომ უმეტესი ნაწილი ვერ მიდის უგანსსწავლ კლასამდე.

შედარებით ახლაც ეს ცნობები ტვიფლისის სთავად-სხნაურო სკოლის ცნობებს და ნასკით, რომ ჩვენი სკოლას ანავითარი განსაკუთრებული დანაშაულობა არ მოუძღვის და შეიძლება მის უფრო ნაწლებადაც ვეპოვდეს ბრალი, ვიდრე სხვა სასწავლებლებს. რა განსაკვირვებია, რომ ჩვენი სკოლებში 100/0, 170/0 და 25/0 დასწებულს სწავლას თავი, როდესაც სასუქმითო სასწავლებლებს ვერ მოუხრებთათ თავიდან აცლებს ამ ჭირისა, და სასწავლებლებს, რომელნიც დამთავრებულს სწავლას აძლევენ მოწაფეებს და ამიტომ უფროც იხიდავენ ხალხს და ან ვა რა შესადარებელია ტვიფლისის სთავად-სხნაურო სკოლასთან, რომელშიცაც გასწესს თუ არა პროცინაზიუმელი კლასები, არ წელიწადსაც არ გავლია, მოქუვეს და სულსადაც დასწერეს ვერ მესუთ კლასი, მერე მეთათს და ბოლოს მესამე მშობლები სწავლენ, რომ კლასები იხურებოდა, იმედი კარგებოდათ სკოლაზე და გაჭყვრდით შეილება, რომ სადმე სხვა სასწავლებლებში მივიდით.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



„ქვალის“ ურცხა

- ქ. ც — შეიღს. თქვენი თითონვე ამბობთ, Plebs-ზედ ლაპარაკი არა ღირსო. ჩვენე სრულიად გეთანხმებით და ამიტომ არც ვლაპარაკობთ. ეს არის მიზეზი თქვენის წერილის დუბეტადობისა.
- კ — ვას, მ — ძეს. ბევრი რამ არის საყურადღებო თქვენს წერილში და სთამოვნებითაც დავებუდებით, ორი გარე-მოკება რომ არ უშლილეს: სიგრეც და „სანოებთან“ ბროლო, დავეთანხმებთ რომ ეს უკანასკნელი საქმე ბუზების ხარბხნებით ხოცვა.
- რქმწმრომტო — ს. აკტორის. თავის ქება, თავის ტეხა, ვერა ვებუდავთ.
- ა. კ — ისას. „ორ მეგობარს“ ვერა ვებუდავთ—მუნღი მიმბაფა ფსიხოლოგიურის ანალიზების; მაგრამ იმედი გვაცხ, ამის გამო თქვენის ნიჭიერის კალმის ნაწარმოების არ მოკვკვკლებთ.
- გ. ქ — შეიღს, კ. ჩ — ეღს, და რ — შეიღს. თქვენი ლექსები არ იბეტებენ.
- ქეთისის რ. ფ — ვას. თქვენი წერილი ჩინებულა. ბევრი რამ ნამდებით და ამალი შესანიშნავი დახასიათება იმ წრისა, რომლის მნიშვნელობა შემდეგი ანდითი შეიძლება გამოხატოს: „უხუთესი ქვეყანა ხელ-ცად გამოავიყვანე...“ მაგრამ ჩვენ მაინც ვერ ვებუტებთ, რადგან გერ-გერობით პირადს პოლიმი-კას ვერიღებთ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ. წერეთლისა

